წელიწადი 1-ლი

ტელეფონი № 76.

ხუთშაბათი 13 აპრილი 1917 წ.

# ჩვენი ქვეყანა

გაზეთის ფასი:
წლიურად. . . 15 მან.
ნახევარი წლით . 8 მან.
თვიურათ . 1 მან. და 50 კ.
ცალკე ნუმერი შვიდი კაპ.
წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიანთ ნაწილნაწილათ გადაიხადონ: ხელის მოწერის დროს 5 მ. სამი თვის შემდეგ კიდევ 5 მ. და დანარჩენიც სექტემბრის პირველამდე.

განცხადების ფასი:
პირველ გვერდზე პეტიტით ლირს . . . 25 კ.
უკანასკნელ გვერდზე . 15 კ.
[illegible]
2 საათ. 5 მ.
2 საათის შემდეგ . 6 მ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება თფილისის ქ. ს. მიქელაძის ს.

№ 4 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი. № 4

## ჩვენი გაზეთი

წლის დამლევამდე ღირს 12 მან.

გადახდა შეიძლება ნაწილნაწილად.

## მოწოდება

ქართველო ხალხო განურჩევლად წოდებისა და მდგომარეობისა ესწრაფეთ დაიმუშავოთ ყოველივე ნაჭერი თავისუფალი ადგილისა, დაეხმარეთ ერთმანეთს, დასთესეთ საჩქაროთ უფრო პური, სიმინდი, ქერი, ფეტვი, კარტოფილი და ბოსტნეული, რომ ერმა თავი დააღწიოს უსაშინელეს კარზე მომდგარ სიმშილს. თუ ჩვენი მოსავალი არ მოგვივიდა, უბედურება ელის ერს. არ დაზოგოთ ფული და შრომა, რომ უზრუნველ ჰყოთ თქვენ თქვენი თავი და თქვენი ოჯახი. სხვისი იმედი ნუღარ გაქვთ.

## მამულიშვილნო!

დღევანდელი მომენტი განსაკუთრებულს ხარჯებს ითხოვს. შემოიტანეთ თქვენი წვლილი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისათვის, შემოწირულება მიიღება ,,ჩვენი ქვეყნის" რედაქციის კანტორაში.

## საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ

## პარტიულ

პარტიის მთავარი კომიტეტი მოუწოდებს პარტიის ყველა წევრებს მცკიცედ შეჰკრან კავშირი პროვინციაში — როგორც ქალაქებში, ისე სოფლად.

ელექტრო „რადიუმ" თეატრი

10 აპრილისთვის, მოწინავე ესკადრონი — სანახავი. **ინსტიტუტკა** (როცა სისხლი სჩქეფს) მშვენიერი პიესა 5 ნაწილად. ინსტიტუტკის მთავარ როლს ასრულებს ცნობილი, დაჯილდოვებული ლამაზი ქალი ფრანჩესკა ბერტინი.

**ანონსი:** ხუთშაბათიდან, 13 აპრილიდან საუცხოვო პროგრამა. **რუსეთის დიდი რევოლიუცია**, პეტროგრადის ამბები 2 ნაწილად. **გარისონის ტყუპი.** ნორდისკის მხატვრული დრამა 3 ნაწ. გარისონის და ევა ტომსენის მონაწ.

ელეტქტრო ამპირ თეატრი

10 აპრილისთვის: ქრონიკა გომომი — მომდინარე მოვლენები. **პირველი და უკანასკნელი კოცნა** მხატვრული დრამა 5 ნაწილად ანდრე გაბესსა და მატილდა სიმარციოს მონაწილეობით სარრა ბერნარის თეატრიდან.

**ანონსი:** ხუთშაბათიდან, 13 აპრილიდან საუკეთესო პროგრამა **რუსეთის დიდი რევოლიუცია**, პეტროგრადის ამბები 2 ნაწ. **მიცვალებულნი სდუმან.** დრამა 5 ნაწ. გრუზინინისა, ბენურისა, ბეკ ნაზაროვისა და კრაიევსკაიას მონაწილეობ.

ქართველთა შორის წერა-კითხ. გამავრცელ. საზოგ.

სენაკის განყოფილების გამგეობა

ამით აცნობებს განყოფილების წევრთ, რომ განყოფილების წევრთა **წლიური კრება დანიშნულია კვირას 16 აპრილს** დილით 10 საათზე, ძმათა სანიკიძეების თეატრის შენობაში. გამგეობა სთხოვს განყოფილების წევრთ დაესწრონ კრებას.

თუ ეს პირველი კრება არ შესდგა წევრთა სავალდებულო რიცხვის დაუსწრებლობისა გამო, მაშინ მეორე კრება ინიშნება 23 აპრილს და ის შემდგარად ჩაითვლება, რამდენი წევრიც არ უნდა გამოცხადდეს.

**გამგეობის თავმჯდომარე:** ოლ. ხოფერია.

განცხადება.

პედაგოგიური საბჭო ქუთ. **რეალურ სასწავლებლისა** აცხადებს, რომ

მოწმობების

მისაღები გამოცდები სხვადასხვა კლასის კურსის ცოდნაში დაიწყება პარასკევს, 14 მიმდინარე აპრილისა, **ხოლო სასწავლებელში შესავალი**

**გამოცდები დაიწყება მარიამობისთვეში.** 3—2

## დღეს:

**წერილები:**

ნ. ლორთქიფანიძე — სამშობლოს მივაშუროთ.
ვ. წერეთელი. — შემრიგებელი კამერები.
ი. იმერელი — ზოგი რამ სადღეისო.
მხედარი — ქართული ტიბიკონი.

**ცნობები:**

გერმანეთის სოც-დემოკრატები უანექსიო ზავსა და დემოკრატიულ წესწყობილებას მოითხოვენ.
ახალი მთავრობა. დეპეშები:
ომის დეპეშები.
ცნობები ზავის შესახებ.
ჟურნალ გაზეთებიდან.
ახალი ამბავი.
ეროვნული კითხვა.
უკანასკნელი ამბები.
რუსეთი.

## სამშობლოს მივაშუროთ.

ძველი რეჟიმი თვით მკვიდრს რუსთათვის იყო აუტანელი... ხოლო უცხო ერების სვე-ბედს განსაკუთრებულის სისასტიკით სდევნიდა.

მრავალი დანაშაულობა მიუძღვის აწ უკვე დასამარებულს წეს-წყობილებას რუსეთისას ქართველი ერის წინაშე, მაგრამ ერთი ცოდვა დაუვიწყარი დარჩება.

სხვადასხვა ხერხით, მაგრამ მუდამ, შეუწყვეტლივ, სისტემატიურათ საქართველოს შვილებს ჰგლეჯდენ მისი მიწა-წყალიდან და შორეულ ჩრდილოეთში აიძულებდენ ეძებნათ ცხოვრების სახსარი, განათლების დაწესებულება და მოქმედების ასპარეზი. მუშები, მოხელეები სამშობლოში ვერ ჰპოულობდენ ადგილსა და სამუშაოს და ვრცელ რუსეთში პოულობდენ ლუკმა პურს.

მაგიერათ ათასი დეგენერატი, სულით მდაბალი და გამჭრიახობას მოკლებული მოხელე აქეთკენ მორბოდა

На ловлю счастья и чиновъ.

ომის დროს ადვილი გასაგებია, ჯარის კაცების საჭირო ადგილს გაგზავნან, მაგრამ მშვიდობიან ცხოვრების დროს, სამხრეთელის ჩრდილოეთში გაგზავნას არავითარი სარგებლობა არ მოჰქონდა; ავათმყოფობა და ხშირად სიკვდილიც კი თან სდევდა; ეს საკმაოთ დაამტკიცა ექიმ გ. ქორქაშვილის გამოკვლევამ.

სწავლის მოწყურებულ ახალგაზდობისთვის მთელი საუკუნის განმავლობაში უმაღლესის სასწავლებლის ერთი განყოფილებაც კი ვერ გამოიმეტეს და ქართველ ერს ეკარგებოდა ის დიდი აღმზრდელობითი გავლენა, რომელიც აქვს, უმაღლესი სასწავლებლის ახალგაზდობასა და პროფესორთა კოლლეგას უბრალო მოქალაქეებზე — მცხოვრებლებზე. გადმოთვლილ მიზეზების გამო მთელს რუსეთში არიან გაფანტული ჩვენი თანამემამულენი:

სტუდენტები,
პროფესორები,
ვექილები,
ექიმები,
მუშები,
მოხელეები,
თავისუფალი პროფესიის ინტელიგენტები,
ვაჭრები და
სხვა ათასი...

დრონი იცვალნენ. რაც არ უნდა მოხდეს, ყოველ შემთხვევაში ქართველს შეძლება ექნება მომავალში თავისი ძალა, ცოდნა და უნარი თავის ქვეყანას მოახმარას. ქართველი მოიპოვებს უფლებას თვისი მოთხოვნილებანი აქ, თავის სამშობლოში, დაიკმაყოფილოს.

მთელი რუსეთის გარდაქმნის დროს, დიდი შრომა და ცოდნა სხვადასხვა დარგისა არის გამოსაყენებელი და უმწვერვალესად საჭირო.

ყველამ თავ-თავის მხარეს მიაშურა, რადგან მკვიდრი, რა თქმა უნდა, უფრო გაიგებს თავის კუთხის ჭირსა და ლხინს, და ამ ჭირ-ვარამის მიხედვით უფრო საზრიანად მოაწყობს ცხოვრებას.

შემოქმედებითი მუშაობა საქართველოშიაც დაიწყო ჯერ სუსტად, მაგრამ შემდეგში რომ ეს მიმდინარეობა გაძლიერდება, უეჭველია.

სკოლის, სასამართლოს და სხვა დაწესებულებათა ქართულად წარმოება ყველასთვის გადაჭრილი კითხვაა... დღეს თუ არა, ერთი-ორი თვის შემდეგ შეუდგებიან ამ გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანას.

მაგრამ სამწუხაროთ ახლავე ემჩნევა, რომ გამოცდილი, სინდისიანი და მცოდნე პირები ცოტანი არიან.

შემხუთავ ბორკილებიდან უკვე განთავისუფლებული ბურჟუაზია ომის შენელებისთანავე გაათებულის ენერგიით მიყოფს ხელს ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებას.

აქაც საჭიროა სპეციალურად მომზადებულნი პირნი — ინჟენრები, მუშები და სხვა...

ჩვენ უმეცრების ბურუსში ვართ გახვეული, და თავისი მოქმედებით, მაგალითით, საკვირაო სკოლების დაარსებით, სოფლად ლექციების გამართვით დიდ ეროვნულ საქმეს გააკეთებენ სტუდენტები.

ასეთს დროს უცხოეთში ადგილი არ უნდა ჰქონდეს ქართველს.

ჩვენ მცირე რიცხოვანი ვართ. გასაკეთებელი ბევრია. სუსტი ძალაც კი ფრიად საჭიროა მამულისთვის.

ქალებო, გამოიწერეთ თქვენი შვილები, ქმრები უცხოეთიდან, რომ მათის სამშობლოსთვის ღვაწლით თვით იამაყოთ, დასტკბეთ.

ვაჟებო, გამოიწერეთ თქვენი მეგობრები, ამხანაგები, რომ თუმც ტკბილი, მაგრამ მძიმე ტვირთი — შრომა სამშობლოს მოწყობა აღდგენისათვის შევიმსუბუქონ ახლად შემოკრებულმა თანამშრომლებმა.

სამშობლოს მივაშუროთ ყველამ!

**ნ. ლორთქიფანიძე.**

## მუშათა და პატრონთა შემარიგებელი კამერები.

რაც განხორციელდება რევოლიუციის დროს, იგივე დაკანონდება დამფუძნებელი და საკანონმდებლო კრებათა მიერ. და უნდა ვეცადოთ, ახლავე შევქმნათ ისეთი დემოკრატიული დაწესებულებანი, რომელთაც კეთილი ნაყოფი გამოიღეს უცხო დემოკრატიულ რესპუბლიკებსა და ავტონომიებში. სხვათა შორის აუცილებლად მიმაჩნია იმგვარი შემარიგებელი კამერები რომელნიც მოქმედობენ ავსტრალიასა და სხვა დემოკრატიულ ქვეყნებში.

როგორია მათი შედგენილობა? თვითეულის შემარიგებელი კამერის წევრთა ნახევარს ირჩევენ მუშები, მეორე ნახევარს პატრონები. კამერის თავმჯდომარედ კი დემოკრატიული მთავრობის წარმომადგენელია.

ცხადია, აქაც შეიძლება შევქმნათ ასეთი კამერები. თვითეულს სავაჭროს ან საქარხნო დარგს საკუთარი კამერა უნდა ჰყავდეს. თვითეული კამერის თავმჯდომარეს დანიშნავს ქუთაისის აღმასრულებელი კომიტეტი.

რა იქნება ამ კამერების დანიშნულება? მათ უნდა შეარიგონ მუშები და პატრონები და მიილონ თადარიგი, რომ არ მოხდეს გაფიცვები, ან, თუ მოხდა, მალე დაბოლოვდეს შერიგებით, ვინაიდან მუშაობის შეჩერება სავნოა, როგორც მუშათა და პატრონთა ინტერესების, აგრეთვე თვით წარმოების ზრდა-განვითარებისათვის.

დიაღ! დემოკრატიულ დაწესებულებათა შემოღებაში განვითარებულს დემოკრატიულ ქვეყნებს უნდა მივბაძოთ. გაგვიჭირდება უკეთესის გამოგონება!

**ვასილ წერეთელი.**

## ზოგი რამ სადღეისო.

ერის გამაგრებისთვის, განვითარებისთვის და ყველა ნაწილის დაახლოვება-შეკავშირებისთვის ერთ აუცილებელ პირობას წარმოადგენს მიმოსვლის საქმის კარგად მოწყობა.

ყველასათვის ცნობილია, რომ რიგიანისა და საკმაო გზების უქონლობით, საქართველოს ბევრი კუთხე მოწყვეტილია მთავარ ცენტრს... იგი სრულიად განმარტოებულად და კარჩაკეტილად ცხოვრობს. ცხადია, რომ ასეთ კარჩაკეტილ ყოფას ნახევრად მაინც ექნება შენახული დრომოჭმული ჩვეულებები. ნათელია ისიც, რომ ასეთ მივიწყებულ მხრის მცხოვრებნი, ვერ იქნებიან ქართულ ეროვნულ იდეისთვის საკმაოდ მომზადებულნი, — რადგან მათში ელემენტარული კულტურაც არ შეტანილა... ამ ჟამად ჩვენგან უგზოობის გამო მოწყვეტილია სვანეთი, ლეჩხუმი, რაჭა და სამეგრელოს ნაწილი. ეჭვი არ არის, რომ განახლებულ საქართველოში ამგვარ მდგომარეობის გაგრძელება შეუძლებელია. მთლიანი ეროვნული ძალის წარმოსაშობად ჩვენ აუცილებლად გვეჭირვება ყველა პროვინციებთან განუწყვეტელი მჭიდრო დამოკიდებულება. უამისოდ საქართველოს ძალთა შეკრება ვერ მოხდება. დღეს რუსეთი აშენებლობის ხანაში იმყოფება.

ქართველობა, რომ ჩამორჩეს ამ აშენებლობის გზას, უაღრესი საშვილისშვილო დანაშაული იქნება. ჩვენ უსათუოდ დღესვე უნდა შეუდგეთ ყველა ჩვენი კუთხის მჭიდროთ შეკავშირებას... ამისთვის, როგორც ზევით მოგახსენეთ მიუცილებელია გზები... ქართველმა ინჟინრებმა დღეს უნდა მოხედონ სამშობლოს. მოწვეულ უნდა იქნას სპეციალისტთა თათბირი, რომელიც ყოველმხრივ შეისწავლის საკითხს, თუ როგორ უნდა დაიქსელოს გზებით ჩვენი, ამ მხრივ ძლიერ ჩამორჩენილი მხარე.

რასაკვირველია ამ დიად სახალხო საქმის პრაქტიკულად განხორციელებისთვის საჭიროა დიდი თანხა, მაგრამ ჩვენ, თუ რაიმე მომავალზე ვფიქრობთ ასეთ თანხის მომცემი წყაროც უნდა გვეგულებოდეს.

ხშირია ასეთი მოვლენა, რომ საქართველოს ერთ ნაწილში საკვების დიდი შიმშილობაა, გარედან მისი შემოტანა უგზოობის გამო შეუძლო ხდება, თუნდაც საქართველოს რომელიმე მეორე ნაწილში სანოვაგე ჰარბადაც მოიპოვებოდეს. გარდა ამისა, ქართველ ხალხის ნედლი ჰირნახული, რომ ყველა ბაზარს აღწევდეს, მაშინ ნივთიერი მხარე ჩვენი ხალხის ბევრად უმჯობესი იქნებოდა. ყველამ უწყის, რომ დაბა ქალაქებზე

მოწყვეტილობით ჩვენს ხალხს სახლში ულპება სიმწრით და ოფლით მონაწევი ნაშრომი, რომელიც, ბაზარზე რომ გაეტანა, ორიოდე გროშს მაინც აიღებდა. ამიტომ დღეს გვმართებს ეს დიდი სახალხო საჭიროება—გზების მოწყობის საქმე—მორიგ საკითხად დავისახოთ, ხელი შევუწყოთ სათანადო შესწავლას და გადაწყვეტას. და დღეს ჩვენი ხალხი უნდა გამოვიდეს ვითარცა ენერგიული კულტურული მუშაკი, განავითაროს ერის ფსიქიკაში ჩასახული ძალები და საპატიო ადგილი დაიკავოს სხვა ერთა შორის. ან დამხობილ თვითმპყრობელობას, რომ ჩვენთვის საეროზო ინსტიტუტები ელირსება დღეს ქართველ ტომთა შემოკრება და ურთიერთში დაკავშირება დამთავრებული იქნებოდა. რაც არ მოგვცა დესპოტიურმა მეფის მთავრობამ, იმას დღეს უეჭველად მოგვანიჭებს ახალი სახალხო მთავრობა. დღეს უფლება გვაქვს ერობასთან შედარებით უფრო ვრცელი უფლებებით აღჭურვილი დაწესებულებანი შევქნათ... საქართველოს და მის ხალხს მხოლოდ საქმე დაიხსნის.

დღეს ყველა ქართველი უნდა განიმსჭვალოს შეგნებით, რომ მან ქვეყნის საქმეში წვლილი შეიტანოს. რაც შეიძლება დაჩქარებით უნდა შევუდგეთ მიმოსვლის საქმის მოწესრიგებას. საჭიროა თბილისიდან ქუთაისამდე პირდაპირი შეუწყვეტელი მიმოსვლა მოეწყოს. საჭიროა აგრეთვე განხილვის რიგზე დავსვათ კითხვები სამტრედია—ხონის და რაჭის რკინის გზების გაყვანისა. როგორც ვიცით ეს საგანი განიხილა ქუთაისის გუბერნიის თავად აზნაურთა ყრილობამ და დაადგინა ხსენებულ გზების გაყვანა თვითონ იდვას თავს. შეიძლება ამ ჟამად მუშა ხელის ნაკლებობის გამო ვერ შეძლოს საძნელო იყოს გზების გაყვანა მაგრამ ამ კითხვაში უნდა მონაწილეობა მიიღოს სრულიად ქართველმა ხალხმა, რაც ცხადია, საქმეს უფრო მტკიცე ნიადაგზე დაამყარებს და დააჩქარებს კიდევაც. შეუდგეთ პრაქტიკულ საქმიანობას, რაც უკეთესი თავდებია საქართველოს კეთილ დღეობის შესაქმნელად.

ი. იმერელი.

## ქართული პრესა

ქუთათრ. გაზ. „სოც-დემოკრატი“ ერთხელ კიდევ ეხება იმ კითხვას, თუ ვინ მოახდინა რუსეთში რევოლიუცია. იგი ამბობს:

რევოლიუცია მოახდინა მთელმა ხალხმა, მუშამ და ჯარმა ქუჩაში თავგანწირული ბრძოლით, ფართე საზოგადოებამ თვის თანაგრძნობით და ძველი წესებისთვს ზურგს შექცევით.

სიადვილე ძველის დარღვევისა გამოწვეული იყო სწორეთ ამ თანაგძნობით და მით, რომ რომანოვების რეჟიმი ყველამ მოიძულა მტერმაც და მოკეთემაც, შინაურმაც და გარეულმაც

ეს სამართლიანი შეხედულებაა. შემდეგ გაზეთი აღნიშნავს, რომ რევოლიუციაში მონაწილეთა შორის ინტერესების წინააღმდეგობა დაიბადა:

მარა თუ ამ შემთხვევაში მტკიცე ერთწყობილების დამყარებაში ასეთი ერთსულოვნობა არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს.

ძველს თუ ყველა გმობს, ახლის აშენებაში ყველას თავის მიზანი აქვს. თვითეული ჯგუფი, კლასი, წოდება ახლის აგებით თავის ინტერესების დაცვას და გაძლიერებას ეტრფიალება. და ამ ნიადაგზე ფარული თუ აშკარა ბრძოლაა გაჩაღებული თუ ის ჯერ ქუჩაზე არ გამოსულა—ეს კიდე არ ნიშნავს მის არ არსებობას

ბრძოლის ნიშნები სჩანს ჟურნალ-გაზეთების ყოველ სტრიქონში, მარა იგი არსად არ იღებს ისეთ უკულტურო ფორმებს, როგორც ჩვენში, არსად არ სწარნოებს ისე მოუხეშავათ, როგორც ზოგიერთ ჩვენ ახლად გამოჩეკილ „რევოლიუციონერთა“ წყალობით ბატონობს ჩვენს პრესაში.

## ახალი მთავრობა

(დეპეშები.)

### პეტროგრადის გარნიზონი.

პეტროგრადი. 10 აპრილს. პეტროგრადში თათბირზე დასასწრებლად ბრძოლის ასპარეზიდან ჩამოსულმა დელეგატებმა ყაზარმათა მთელი რიგი დაათვალიერეს. მათ უნდოდათ შეემოწმებიათ იმ ხმების სინამდვილე, თითქო პეტროგრადის გარნიზონში დისციპლინა (წესრიგი) დარღვეული ყოფილიყოს, ან ვითომ ჯარისკაცები არაფერს აკეთებდენ ნამდვილად კი აღმოჩნდა, რომ პეტროგრადის გარნიზონის ჯარის კაცთა მუშაობა ძველებურად ნაყოფიერად სწარმოებს, გარდა რიგის გარეშე საქმეებისა, როგორც მაგ., ქუჩების გასუფთავება, რკინის გზის კვანძის დაცლა და სხვა. ისინი წარმატებით ასრულებენ გასაწრთვნელ სავარჯიშოებს. დელეგატები სრულიად დააკმაყოფილა პეტროგრადის გარნიზონის მუშაობამ.

მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს, ჯარისკაცთა სექციის კერძო თათბირზე ირჩეოდა საკითხი ბრძოლის ველზე გასაგზავნ (სამარშო) როტების შესახებ. განმარტების მისაცემად გამოსულ პოლკოვნიკმა იაკუბოვიჩმა სთქვა, პეტროგრადის გარნიზონის პოლკების მეტ ნაწილმა ეს კითხვა დადებითად გადასწყვიტა. სიმონოვისა, პავლოვისა და სხვა პოლკებმა გადასწყვიტეს საჩქაროდ გაგზავნონ სამარშო როტები ბრძოლის ველზე. თათბირმა ერთხმად დაადგინა, შესაფერად მოამზადონ სამარშო როტები და მისთვის სპეციალად დასამტეპული ჯარი. ეს კითხვა საჩქაროდ უნდა შეიმუშაოს აღმასრულებელმა კომისიამ აღმასრულებელ კომიტეტთან შეთანხმებით. საქმის გადასაწყვეტად გამოიყენებენ ცნობებს, რომელსაც მათ მიაწვდით პოლკების საბათალიონო კომიტეტები.

### პეტროგრადის განყოფილების საიდუმლო თანამშრომელნი

პეტროგრადი. 9 აპრილი. სამართლის (იუსტიციის) სამინისტრომ შეადგინა სია პეტროგრადის განყოფილების საიდუმლო თანამშრომლებისა 1913 წლიდან—1916 წლამდე. მათში ანარქისტ-კომუნისტების პარტიიდან არის 6 კაცი, სოციალ დემოკრატებიდან 5, სოციალ რევოლიუციონერებიდან 35, სახალხო თავისუფლებისა და საზოგადო მოძრაობის პარტიებიდან 4 ებრაელთა პარტიებიდან 2, უმაღლეს სასწავლებლიდან 21, ხოლო სხვა საპატიო ორგანიზაციებიდან 15.

### დაზარალებულნი.

კიევი. 9 აპრილი. წყალდიდობის დროს დაზარალებულთა რიცხვი 10,000 აღემატება. მოაწყვეს დამხმარე კომიტეტი.

### სამხედრო მინისტრი.

კიევი. 9 აპრილი. გუშინ საღამოს სადგურ კიევზე ჩამოვიდა რუმინეთს მიმავალი სამხედრო მინისტრი გუჩკოვი. მან მიიღო წარმომადგენელი და ჯარისკაცთ სიტყვით მიმართა, სადაც აღნიშნა მომენტის სიდიადე და ჯარს მოუწოდა ყოველის ღონით დაიცვას სამშობლო.

### ყრილობა მინსკში.

მინსკი. 9 აპრილი. ყრილობის გუშინდელ კრებაზე სკობელევი და წერეთელი პასუხს აძლევდენ ფრონტიდან ჩამოსულ დელეგატების კითხვებს, ორი მთავრობისა, დროებითი მთავრობაზე გავლენისა, მუშათა და ჯარისკაცთა უთანხმოებისა, ომისა და ზავის შესახებ. პასუხს ყრილობის მეტი ნაწილი ეთანხმებოდა.

როძიანკო და როდიჩევი გაემგზავრენ ბრძოლის ასპარეზისაკენ.

დღეს დილით მოსკოვის მუშათა და ჯარი სკაცთადეპუტატების საბჭოს დელეგატმა სთქვა, მართალია, ის ხმები, რომ რევოლიუციის დასაწყისში ევერტი ხალხის დასამშვიდებლად გამოლაშქრებას აპირობდაო. ყრილობაზე მოვიდა სარტების დეპუტაცია და ითხოვა—დაგვიცავითო. ასი დღით წაგვიყვანეს, ხოლო ბევრმა თვემ კი გაიარა და არც დაპირებს გვაძლევენო. ყრილობამ ცალკე სექცია აირჩია, რათა ავათმყოფთა და დაჭრილთა ადგილას ოხრილებში სამუშაოდ მოიწვიონ. ჯარის ზურგს უკან დამალულები. მერე წაიკითხეს მოხსენებათა რიგი. ჯარში ფხიზელი და სასიხარულო სულიერი განწყობილებაა თავისუფლების მიღების შემდეგ. ოფიცრების სულიერი განწყობილება კი სხვა და სხვა გვარია. ერთი რიგი მოხარულია, ხოლო მეორე მხარე გულგრილად ხვდება მომხდარ ცვლილებებს. ჯარში ისმის უკიდურესი მოთხოვნა—უფროსთა არჩევანისა. უფროსების რეაქციონერობა, გენერალი სმირნოვის ჯარის შტაბის კონტრ რევოლიუციონურ ნაბიჯებში სჩანსო. ახლა სმირნოვი დაუთხოვნიათ. კრება იხურება, რადგან მონაწილეობა უნდა მიიღონ ყრილობის საპატივცემო გამართულ სახალხო მანიფესტაციაში.

### მატარებლების დაჯახება.

მოსკოვი. 8 აპრილს. ნიკოლოზის რკინის გზის სადგურ პლინზე სათადარიგო ორთქლმავალი დაეჯახა საბარგო—სახალხო მატარებელს. დაიმსხვრა ერთი საკლასო და ორი საბარგო ვაგონი. დაშავდა 4 მგზავრი. რადგანაც გზის გაწმენდა 14 საათით დაგვიანდა, ასეთივე დაგვიანებით მოსკოვს ჩამოვიდენ მილიუკოვი, შინგარევი და ობერპროკურორი ლვოვი.

### სამხედრო მინისტრის მოწოდება საზოგადოებრივ ორგანიზაციათა და მათში მოსამსახურე ოფიცრების მიმართ.

პეტროგრადი. 10 აპრილი. ომის დასაწყისიდანვე მრავალი საზოგადოებრივი ორგანიზაცია განიმსჭვალა მამულიშვილობის მაღალი გრძნობით. ისინი ჩვენი ჯარის დასახმარებლად მუშაობდენ როგორც ჯარში ისე მის ზურგით.

ამ ორგანიზაციებში მომუშავე მოქალაქე-ოფიცრებო! ბევრი ჩვენი ძმა—ოფიცერი დაიღუპა ბრძოლაში სამშობლოს დაცვის დროს. ჯარის ნაწილებში უფროსთა დიდი დანაკლისია. ყოველი ოფიცერი სათვალავშია მიღებული. საზოგადოებრივ ორგანიზაციებში თქვენს ადგილს დაუძლურებული ოფიცრები და მოხელეები დაიჭერენ, ხოლო მომქმედ ჯარში თქვენ ვერავინ შეგცვლით. ჯარი თქვენ გელით, მოქალაქე-ოფიცრებო!

მოუწოდებ აგრეთვე ყველა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, რომელნიც ჯარის დასახმარებლად მუშაობენ, ჯარში სამუშაოდ გაათავისუფლონ ჯანმრთელი ოფიცრები და მათ ადგილას დააყენონ დაუძლურებული ოფიცრები და მოხელენი.

დარწმუნებული ვარ, რომ თავისუფალი რუსეთის ყველა მოქალაქე, რომელსაც ესმის [illegible] ყველაფერს სამშობლოს დასაცველად. სამხედრო მინისტრი გუჩკოვი.

### მინსკის ყრილობის პრეზიდიუმი.

მინსკი, 8 აპრილი. ბრძოლის ასპარეზის ყრილობის პრეზიდიუმში შევიდნენ მეტ ნაწილად ასპარეზის ნაწილების წარმომადგენელნი: 7 ჯარის კაცი, 4 ოფიცერი და 3 მუშა.

ყრილობა სალამს უძღვნის სატახტო ესდე-ბუნდისა და გლეხთა კავშირის წარმომადგენელს. ლაპარაკობენ აგრეთვე დაბრუნებული ყოფილი გადასახლებულნი, ბადაევი, ბელონესოვი, რომელნიც მოუწოდებენ ყრილობას, შეჯგუფდენ მუშათ და ჯარის კაცთა დეპუტატების საბჭოს გარშემო, და აგრეთვე მთელს რევოლიუციურს ხალხს შეთანხმებულ მოქმედების აკენ.

მისასალმებელ დეპეშები გაეგზავნა ბრეშკო-ბრეშკოვსკის ქალს, კერენსკისა, პლეხანოვს, მუშათა და ჯარის კაცთა დეპუტატების საბჭოსა და დროებით მთავრობას.

### განათლების სამინისტროში.

პეტროგრადი, 10 აპრილი. განათლების სამინისტროში უმაღლეს სატეხნიკო სასწავლებელთა წარმომადგენლების მონაწილეობით იწყება საგანგებო თათბირის კრებები უმაღლეს სატეხნიკო განათლების რეფორმის მოსახდენად. პირველ რიგზე დაყენებულია საკითხი მიმდინარე წელს მოწაფეთა მიღებისა და მართვა-გამგეობის წეს-რიგის შესახებ.

### ნაოსნობის განახლება ქვემო ახალ ქალაქი (ნიჟნი ნოვგოროდი).

8 აპრილს პირველად წავიდა მდ. ვოლგაზე ქვემოდ ორთქმავალი გემი „ნატალია“. გემი სავსე იყო მგზავრებით. დღე ღამის განმავლობაში წყალმა მოიმატა. მდინარე ყინულისაგან განთავისუფლდა. ნაოსნობა განახლებულია ჯერ. გემები ნაკლებათაა. რადგან ან გასწორება (რემონტი) არაა გათავებული, ან ბარგი აკლიათ, ან გემებს მოსამსახურენი არ მოეპოვება საკმაოდ. ზოგი გემების დაცვას თხოულობს, რადგან ყოფილა შემთხვევა, რომ მდ. ოკაზე მგზავრების ბრბო იტაცებდა გემებს. სუბუქ გემებზე სახელები მეფეე-

## ქართული ტიპიკონი

### ქართველ კათოლიკებში უძველეს დროიდან დღევანდლამდე

### I კათოლიკე ეკლესია და ტიპიკონები.

ყველა ხალხში, ყველა სარწმუნოებაში და ყოველ დროს, ღვთის მსახურებას ჰქონია განსაკუთრებული წესები; ძველ ქურუმებს, ებრაელების ლევიტელთ არ შეეძლოთ როგორც უნდოდათ ისე მიეგოთ სამსახური ღვთისთვის: დროთა განმავლობაში შემუშავებული წესები ყველასთვის სავალდებულო იყო:—აი ამ განსაკუთრებულ წესებს, რომელთა ფარგლებშიც ჩამოყალიბებულია ღვთის მსახურება, ამ წესებს ეძახიან ტიპიკონს. უფრო მდაბიურათ რომ განვმარტოთ, ტიპიკონი არის ის ცერემონიები, რომელთაც ვხმარობთ წირვა-ლოცვისა და წმ. საიდუმლოების აღსრულების დროს ზოგიერთებს ჰგონიათ თითქოს კათოლიკე ეკლესია მხოლოდ ერთს ტიპიკონს სცნობდეს, სახელდობრ ლათინურს. მართალია, კათოლიკების დიდი უმეტესობა ლათინურ ტიპიკონს მისდევს[1], მაგრამ ამ უკანასკნელის გვერდით დანარჩენი ტიპიკონებიც შეუხლუდველ თავისუფლებით სარგებლობენ. იმის წარმოდგენაც კი შეუძლებელია რომ ოდესმე ერთი ტიპიკონი გაბატონდეს კათოლიკე ეკლესიაში. კათოლიკე ეკლესია მსოფლიო ეკლესიაა; არ არის ტომი, არც ეროვნება რომ წარმომადგენელი არ ჰყავდეს კათოლიკე ეკლესიაში შეუძლებელია ესოდენს სიმრავლეს, ენით, ზნე-ჩვეულებით, ისტორიით განსხვავებულს, ერთი და იგივე ტიპიკონი, ერთი და იგივე ნაირობა ჰქონდეს ლოცვაში სხვა ნაირათ უცემს გული ევროპელს და სხვა ნაირათ აზიელს: ევროპიელი და აზიელი რომ დააყენო სალოცავათ, სულ სხვა ნაირათ ილოცებს პირველი და სულ სხვანაირათ მეორე. ევროპელის ლოცვა უფრო გონების ნაყოფი, უფრო პრაქტიკული უფრო სწრაფი იქნება; აზიელი კი დაიკარგება გულის უფსკრულში, ნებიერათ გაერთობა განყენებულ საკითხებში, ადვილათაც დაივიწყებს ცხოვრების პირობებს. ამას გვიდადებს მრავალ საუკუნოებრივი ისტორია ევროპისა და აზიისა. ამ მიდრეკილებათა მიხედვით შემუშავდა ძველთაგანვე უმთავრესათ ორი ტიპიკონი: ლათინური დასავლეთელებისათვის და ბერძნული აღმოსავლეთელებისათვის მიუმხვდარმა ადამიანებმა ეს ორი უმშვენიერესი ტიპიკონი თითქოს ერთ-მანეთს გადაკიდეს; ადგილობრივ პრესაშიც ხანდიხან ლაპარაკობენ გალათინებაზე: გალათინებაზე ლაპარაკი ჩვენს დროში უმეცრების დარგსლა წარმოადგენს; რომის ტახტს დიდი ხანია შეგნებული აქვს პსიხოლოგიური მნიშვნელობა თვითოეულ ტიპიკონისა, მის წინაშე ორივე ტიპიკონი გათანასწორებული უფლებით არის დაჯილდოებული; თვით იტალიაშივე მრავალი სამრევლოები არის ბერძნული ტიპიკონისა; სულ 5—6 წელიწადია, რაც ოსმალეთში რომის პაპმა ეპისკოპოზი დაუნიშნა ბერძნულ ტიპიკონის მქონე ხალხსა, რომელიც ორი ათას სულს არ აღემატება; იტალიაში ხომ ძველთაგანვე საკუთარი ეპისკოპოსები ჰყოლიათ და ეხლაც ჰყავთ! უთუოთ აქ საწინააღმდეგოთ წამოიყენებენ აქაურ კათოლიკეთა მიერ უცხო ტიპიკონის მიყოლას... ამ საკითხს თავისი საკმაოთ გრძელი და რთული ისტორია აქვს, რასაც ქვემო სტრიქონებში მოვიყვან.

2 ქართული ტიპიკონი ეკლესიათა დაყოფამდე. წმ. ნინომ ჩვენი წინაპარნი რომ მოაქცია, ეპისკოპოზები და მღვდლები საბერძნეთიდან მოიწვია: რაღა თქმა უნდა, ესენი პირველ ხანებში წირვა-ლოცვას ბერძნულ ენაზე შეასრულებდენ, ვინაიდგან ქართული არ ეცოდინებოდათ, გარნა სულ მალე შეისწავლიდნენ ჩვენს ენას და ლოცვა-ვედრება ნაწილათ ქართულათ უნდა ეწარმოებინათ წირვის მოწყობა ქართულ ენაზე უფრო დიდ ხანს მოითხოვდა, ვინაიდგან საჭირო იყო ეთარგმნათ არა მარტო წირვის რიგი, არამედ ახალი და ძველი აღთქმაცა. ახალი აღთქმის თარგმანი რომ უკვე ჰქონიათ მეოთხე საუკუნის მიწურულს, ამ ასი უტყუარი საბუთები ხელთ გვაქვს. 2) რა კი წიგნები მზათ იქნებოდა, წირვის თქმასაც დაიწყებდნენ ქართულათ, მაშ შესაწყნარებელია ის აზრი, რომ მეხუთე საუკუნის დასაწყისში, ე. ი. ასიოდე წლის შემდეგომ საქართველოს მოქცევიდან, წირვა-ლოცვა უკვე ქართულ ენაზე სწარმოებდა: გარნა ბერძნულ ენის გავლენა კიდევ მძლავრი იყო: იერარქიის მოწინავე პირნი უმეტესათ ბერძნები იყვნენ; რა დასკვნა მოსდევს ამას. როგორც ამ ბოლო დრომდი მართლმადიდებლებში ტიპიკონი არეული იყო და ლოცვა ქართულ-სლავიანურათ სწარმოებდა, მაშინაც ბერძნული და ქართული შერეული იქნებოდა. გარნა ნელ-ნელა საქართველოს ეკლესია თავისუფლდებოდა ბერძნების ზეგავლენისაგან. მეექვსე საუკუნის ნახევარში, 3) ქართველებმა სთხოვეს იუსტინინე იმპერატორს, რომ კათალიკოსი თავიანთი ნათესავისა ეკურთხებინათ. ამაზე დათანხმდა იმპერატორი (ჯანაშ. 1. 243 გვ.)

გარნა ჩვენი პატრიარქი ანტიოქიაში უნდა ეკურთხებინათ; ეს უკანასკნელი დამოკიდულობაც შესწყდა (ჯანაშ 1.-295) მერვე-მეცხრე საუკუნეში, და ამ დროიდან კი ფეხს იკიდებს წმინდა ქართული ტიპიკონი. დროთა განმავლობაში, თუ უვიც გადამწერთა მეოხებით და თუ მწვალებელთა გვლარძნილობით, ჩვენი წიგნებში გარყვნილი იყო; განგებამ აღმოაჩინა მთაწმინდელნი ევთიმე და გიორგი. წმ. ევთიმე წინამძღვრობდა მთაწმინდელ 300-ოდე ბერსა, „შეუსვენებელათ თარგმნიდა დღე ღამე, თაფსა მას წიგნთა სალმთოთასა შვრებოდა. რომლისა მიერ დაატკბო ენა ჩვენი და ეკლესია“... „უმეტესი ნაწილი ღამით სანთლითა უთარგმნია.“ წარმოიდგინეთ, მგზავრობაშიც კი წიგნებს გვიმზადებდა (1074 წლ. ხელნაწ. გვ. 27, 30). წმ. გიორგი მთაწმინდელმა დაავგვირგვინა ევთიმესგან დაწყებული საქმე: ბერძნულ ტექსტთან შეამოწმა ახალი აღთქმა; ვრცლათ გადმოთარგმნა ზოგიერთი ეკლესიის წიგნები, ევთიმეს რომ შემოკლებით გადმოეღო მოუცლელობის გამო, და ამნაირათ საქართველოს ეკლესია გასწმინდა ყოველნაირ ბიწისა და ნაკლულოვანებისაგან სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ორივე მთარგმნელ—შემსწორებელნი სამცხიდან ანუ ახალციხის 4) მხრიდან ყოფილან, რომელსაც მათი ცხოვრების დამწერი უწოდებს „ღვთის მსახურსა და ღვთივ დაცულს ქვეყანას.“ 5) როგორც ქვემოთაც დავინახავთ, 1234 წლამდე საქართველო რომის ტახტთან შეერთებული იყო: ევთიმე მიიცვალა 1028 წელს, ხოლო გიორგი 1065 წელს, ორივე კათოლიკენი იყვნენ, მაშ **ქართული ტიპიკონის წიგნები კათოლიკეებისგან არის თარგმნილიც და შესწორებულიც. 1234 წლამდე ყველა ქართველები კათოლიკეები იყვნენ, ყველა ქართველები ქართულ ტიპიკონს მისდევდნენ; მაშასადამე ჩვენში არც სომხური ტიპიკონი არსებობდა და არც ლათინური.** რა მიზეზისთვის შემოვიდა ჩვენში ან სომხური, ან ლათინური ტიპიკონი? შევეკითხოთ უტყუარ ისტორიას.

III ლათინური ტიპიკონი ქართველ კათოლიკებში საბერძნეთის ეკლესია მწვალებლობის კერა ყოფილა დასაწყისიდანვე: არის, ნესტორი, ევტიქე, აპოლლონი და ათასი სხვანიც სულ მის წიაღში დაიბადნენ: ამასვე მოწმობს წმ გიორგი მთაწმინდელი;

ბერძნების იმპერატორს მონობას პირდაპირ ეუბნება: „ბერძენთა შორის მრავალი წვალება შემოვიდა პირველ, და მრავალ გზის მიდრკეს“.6)

ბერძნების მოუსვენარი, მუდამ მღელვარე ეკლესიაში გამოეყო კათოლიკე ეკლესიას 1054 წ. სულ უპრალო, სასაცილო მიზეზების გამო; წარმოიდგინეთ ესეც კი მოჰყავდათ მიზეზათ, რომ ლათინის მღვდლები წვერულვაშს იპარსავენო, რომ შაბათობით მარხულობენ, დიდმარხვაში „ალილუიას“ აღარ გალობენო. ბერძნებს განყოფაში გაჰყვა აღმოსავლეთელთ უმეტესი ნაწილი: გარნა ქართველებს უთავბოლო ცილობის დროს არ ჰქონდათ: ისინი მუდამ გამწარებულ ომში იყვნენ და ძველთაგანვე მიღებული სარწმუნოება და ტიპიკონი მტკიცეთ ეკავათ. მე თერთმეტე საუკუნე, ე. ი. სწორეთ ის დრო, როდესაც განხეთქილობა მოხდა ლათინთა და ბერძენთა შორის, ეს მეთერთმეტე საუკუნე ოქროს ეპოქათ უნდა ჩაითვალოს საქართველოს ეკლესიისთვის; სწორეთ ამ დროს ჰყავდა მას წმ. გიორგი მთაწმინდელი, რომელმაც ჩვენი ეკლესია გასწმინდა ყოველნაირ ბიწისა და ნაკლულოვანებისაგან. გიორგი მთაწმინდელი არ იყო მომხრე ეკლესიათა გან-

1) 300 მილიონ-კათოლიკეზე 290 მილიონი ლათინურ ტიპიკონზეა მიწერილი.

2) წ. კ. საზოგადოების მუზეუმში ინახება სამოციქულო გადმოთარგმნილი 397 წელს (იხ. თამაიაშ. ფრანგ. ექვ. 249)

3) მეექვსე საუკუნეში ყველგან საქართველოში წირვა-ლოცვა ქართულათ სწარმოებდა (ჯავახიშ. 1. 244 გვ.)

4) უმეტესი ნაწილი ქუთაისის, თბილისის, ბათუმის და გორის კათოლიკეთა, ახალციხის მხრიდან არიან გადმოსახლებულნი.

5) იხ. ათონის ხელნაწერი 1074 წელს გვ, 285.

6) იხ. ხელნაწ. 1074 წელს: გვ. 332

ბისა შეცვალეს რუს გმირთა და მწერლების სახელებით.

სეიმის მუშაობა. ჰელსინგფორსი.

8 აპრილს სეიმის განსახილველად წარუდგინა კანონ-პროექტი ფინეთში მოსახლე რუს მოქალაქეთა ფართე უფლებების შესახებ მრეწველობის საქმეში. თავმჯდომარის ამხანაგმა ტოკეიმ გაიხსენა გასული ბნელი დრო, შიშის გაქარწყლება, მეფობის დაცემა და ახალი ხანის დამყარება. ბოლოს იმედი გამოსთქვა-მომავალი კიდევ უკეთესი იქნებაო. მერე მცირე კამათი გაიმართა. კანონპროექტი წინასწარ განსახილველად ეკონომიურ კომისიას გადაეცა.

უცხოეთი.

სტოკჰოლმი 9 აპრილს. „ფორვერტსი" იტყობინება: მთელი გერმანეთის სოციალდემოკრატების ცენტრალმა კომიტეტმა მიიღო შემდეგი დადგენილება: გერმანეთის მუშათა კლასი მოითხოვს დაუყონებლივ მოისპოს უთანასწორობა სახელმწიფო უფლებების მხრივ და ბიუროკრატიული რეჟიმი სახალხო წარმომადგენლობით შეიცვალოს. გერმანეთის სოციალისტები მთავრობის შოვინიზმს ებრძვიან. ისინი მიისწრაფიან, რაც შეიძლება მალე დაიწყონ სამშვიდობო მოლაპარაკება. ყოველ ერს უნდა მიეცეს უფლება თავისუფალ, ეროვნულ განვითარებისა და ზავი უნდა ჩამოვარდეს უანექსიოთ და უკონტრიბუციოთ. გაზეთი სალამს უძღვნის რუსეთის რევოლიუციას და ეთანხმება მუშათა დეპუტატების ყრილობის რეზოლიუციას, რომელიც ხელს შეუწყობს საერთო ზავის დამყარებას.

# ახალი ამბავი

✦ რედაქციამ მიიღო „ქართველ მოსწავლეთა ბიბლიოთეკის" № 1, გამოცემა მთავრიშვილის და ამხ. წიგნის მაღაზიისა; ამ ნუმერში მოთავსებულია ია ეკალაძის მოთხრობები და მოკლე დახასიათება ბელლეტრისტისა. წიგნი სუფთად არის გამოცემული, შეიცავს 114 გვერდს და ღირს 50 კაპ. რაიც დღევანდელ ფასების მიხედვით ძლიერ იაფათ უნდა ჩაითვალოს. დაწვრილებით ცნობებს შემდეგში მოვათავსებთ.

✦ ქუთაისის პირველ დაწყებითს უმაღლეს პირველ სასწავლებელში 20 აპრილიდან მოხდება გამოცდები იმ პირთათვის, ვისაც სურს სასწავლებლის გათავების მოწმობა მიიღოს. გამოცდებზე დაშვების თხოვნები მიიღება ხსენებულ სკოლის კანცელიარიაში ყოველ დღე 11-2 საათამდის. მისამართი: აბულაძის ქუჩა.

✦ კავკასიის მთავარ შტაბის უფროსად ნაცვლად. გენ. ვოლსკისა დაინიშნა პოლკოვნიკი ახმეტელაშვილი. ახმეტელაშვილი მიმდინარე ომის ერთ ერთი გმირია. იგი დაჯილდოვებულია წმ. გიორგის ოქროს ხმლით და წმ. გიორგის მესამე და მეოთხე ხარისხის ჯვრებით. ახმეტელაშვილი სულ 38 წლისაა, მას ახალმა მთავრობამ გენ. მაიორობა უბოძა.

✦ სასურსათო საქმე. 30 მარტიდან 8 აპრილამდე ამიერ კავკასიაში უნდა შემოეტანათ 1,500 ვაგონი სურსათი. „ნარიადები" (სურსათის შემოტანის რიგი) უკვე მიუღია „ხლებარმია"-ს მაგრამ დღემდე არც ერთი ვაგონი არ შემოუზიდნიათ.

✦ გუშინ გაზ. „საქართველო" ტეხნიკურ დაბრკოლებისა გამო არ გამოსულა. გაზეთი დღეს გამოვა.

✦ აბრეშუმის თესლის ფალსიფიკაციის წინააღმდეგ ღონის-ძიებათა შესამუშავებლად და აბრეშუმის თესლის ნიხრის დასაწესებლად ქუთაისის სააბრეშუმო სადგურის უფროსის ი. გ. ქუთათელაძის წინააღმდეგ თბ. აღმასრულებელმა კომიტეტმა საგანგებო კომისია აირჩია, რომელშიაც შედიან ი. გ. ქუთათელაძე, აფრიკინი და სულთანოვი.

✦ 11 აპრილს თბილისში ცეცხლი გაუჩნდა და დაიწვა ახალი საკრებულო (ყოფილი ხარფუხის კლუბი).

შეცდომის გასწორება

✦ გუშინდელ ჩვენს გაზეთში შეცდომით იყო მოხსენებული იმერეთის ეპარქიის გამგეთ არქიმანდრიტ ნაზარის დანიშვნა. ეპარქიის დროებით გამგეთ დაინიშნა მოწამეთის მონასტრის წინამძღვარი ნესტორი.

✦ ქუთაისის სააბრეშუმო სადგურის გამგე ბ-ნი ი. გ. ქუთათელაძე, რომელიც ქუთ. გუბ. კომიტეტის დავალებით თბილისის მთავარ კომიტეტთან იყო მოსალაპარაკებლად, ქუთაისს დაბრუნდა.

✦ ქუთ. აღმ. კომიტეტმა მოისმინა სახელმწიფო სათათბიროს შემდეგი დეპეშა:

„მოქალაქენო! რუსეთი შეუდგა თავისუფალ ცხოვრების და თავის შვილთა სწორუფლების ახალ გზას. ძველი მთავრობა, რომელიც არ გვწამდა და რომელსაც არ ვაძლევდით ფულს, ვინაიდან ვიცოდით, რომ ჩვენ შორის შეკრებილი ფული მისი წყალობით ხალხის კეთილდღეობას არ მოხმარდებოდა, უკვე გადაყენებულია და ამიერიდან ძველ თანამდებობას ველარ დაუბრუნდება. დანიშნული არიან ახალი მოხელენი. ისინი დაიცავენ და არ გაფლანგავენ ხალხის სიმდიდრეს. აი ამ ახალ პირთ, რომელნიც შედიან დროებით მთავრობაში მთელი რუსეთი ენდობა და საჭიროა მათი დაცვა. ახალი წესწყობილება და ახალი უფლებები გვავალებენ ჩვენ ვიზრუნოთ სამშობლოსათვის. თქვენ იცით თუ რამდენ ხარჯს ითხოვს დღევანდელი ომი. უფულოდ შეუძლებელია ომის სასურველად დამთავრება, უფულოდ შეუძლებელია გასწორდეს ძველი მთავრობის მიერ დაშვებული შეცდომები, უფულოდ არ შეიძლება გაუმჯობესდეს რუსეთის შინაური ცხოვრება, დღეს იხსნება ხელის მოწერა თავისუფალ სესხზე. ეს პირველი სესხია გამოცხადებული თავისუფალ რუსეთის სახალხო მთავრობის მიერ. რაც უფრო მეტს გამოიღებთ თქვენს წვლილს თავისუფალ სესხის დასაფარავად, მით უფრო სასურველად მოაგვარებს ახალი მთავრობა სახელმწიფო საჭიროებას. სახელმწიფო სათათბირო მოუწოდებს ყველას შესწიროს ამ სესხს, ვის რამდენი შეუძლია და ამით შეასრულოს სამშობლოს წინაშე წმინდა მოვალეობა. მოქალაქენო! გამოიყიდეთ ახალი სესხი თავისუფლებისა.

თქვენს მაგალითს მიბაძავს ყველა: ქალაქები და სოფლები, კოოპერატივები და საზოგადო დაწესებულებანი. შეიტანეთ სახელმწიფო სალაროში რაც შეგიძლიათ და დაამტკიცეთ, რომ რუსეთის ხალხი ჯერ კიდევ ღონიერია, მაგარია, მდიდარია და შეუძლიან დაიცვას თავისი არსებობა. განახლებული რუსეთი ვალდებულია დაფაროს თავისუფალი სესხი".

სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარე

**მ. როძიანკო.**

კომიტეტმა გადასწყვიტა გადაბეჭდოს ეს დეპეშა აღმ. კომ. ცნობებში და აგრეთვე სხვადასხვა ადგილობრივ გაზეთებში.

✦ თანახმად გამომძიებელ კომისიის თავმჯდომარის განცხადებისა აღმ. კომიტეტმა დაადგინა მიეცეს გამომძიებელ კომისიის განკარგულებაში სამი მილიციონერი.

✦ აღმასრულებელ კომიტეტმა დაადგინა გასცეს განკარგულება მთელს ქუთ. გუბერნიაში, რათა ის პირნი, რომელნიც ჯარისკაცთა წრიდან თავის ნებით წამოსულან, (დეზერტირები), არა თუ არ ამოირჩიონ კომიტეტის წევრებათ, არამედ დაუყონებლივ შეიპყრან და წარუდგინონ სამხედრო უფროსს.

✦ იმერეთის ეპარქიის სასულიერო დროებითი აღმ. კომიტეტის განცხადება, რომლითაც იგი სთხოვს ქუთ. აღმ. კომიტეტს გელათის მონასტრის ქონების დასაცავად დარაჯების დაყენებას, გადაეცემა ქუთ. სამაზრო კომისარის განკარგულებას

✦ ზედა და ქვედა საფიჩხიის სარაიონო აღმ. კომიტეტის თავმჯდომარეების განცხადების შესახებ, რომელნიც ითხოვდნენ ხსენებული კომიტეტის დამტკიცებას და ნებართვას წევრთა შესაფერი ნიშნების ტარებისას, აღმ. კომ. დაადგინა: დამტკიცოს საფიჩხიის დროებითი სარაიონო კომიტეტები. ამასთანამე სასურველად სცნო ქალაქში სარაიონოდროებითი აღმ. კომიტეტს დარსება, რომელიც დაექვემდებარება ქუთ. აღმ. კომიტეტს, ამასთანავე არჩევნების და საზოგადოდ ორგანიზაცის მოსახდენად. აგრეთვე ინსტრუქციის შემუშავებისათვის ინიშნება კომისია. კომიტეტის წევრთა კრინიცკის, ფაღავას, გრიგოლიას, გოკიელოვის და კაკაბაძის მონაწილეობით.

✦ აღმ. კომიტეტმა ნება დართო ვაჭრებს, რათა კომიტეტის სხდომაზე ვასასწრებლად გამოგზავნონ თავიანთი წარმომადგენელი.

✦ თხოვნა ალექსანდრე თად. ნიჟარაძისა, რომელიც შუამდგომლობდა გამოეშვათ ციხიდან კონსტანტინე ნიჟარაძე! გადაეცემა საოლქო სასამართლოს პროკურორს განსახილველად.

## ბანკებში მოსამსახურეთა კრება.

ბ. ივ. პურადაშვილის მოწვევით და ბ. მ. ფაღავას თავმჯდომარეობით 11 აპრილს ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკში მოხდა კრება სხვადასხვა საკრედიტო დაწესებულებებში მოსამსახურებისა. კრების მიზანი იყო პროფესიონალური კავშირის დაარსება. კამათი გამოიწვია კითხვამ, შეუძლიათ, თუ არა კავშირში მონაწილეობა მიიღონ იმ პირთ, რომელნიც ბანკებში არჩეულ მსახურებენ, ე. ი. გამგეობის წევრებს; აღძრულ იყო აგრეთვე კითხვა, მიიღონ თუ არა კავშირში სხვადასხვა დაწესებულებებში მოსამსახურე ბუჰგალტერები და კონტორის მოსამსახურეები. ამ კითხვების გადასაწყვეტათ, წესდების შესამუშავებლათ და ახალი მთავრობისა, კერენსკისა, ჩხეიძისა და ტერეშჩენკოს მიმართ მისალოც დეპეშების შესადგენათ არჩეულ იქმნა კომისია, რომელმაც დავალებული საქმეები ერთ კვირაში უნდა მოაწესრიგოს.

## მსოფლიო ომი

დასავლეთის ასპარეზი.

პარიზი. 9 აპრილი. ოფიციალი. სომსა და უაზოს შუა გაცხოველებული საარტილერიო სროლაა. მთელი დღის განმავლობაში [illegible] თვი სენკანტენის სამხრეთით და იულ[illegible].

სუასონსა და რეიმსის მეამდებარე ზოგიერთ ადგილებში დროგამოშვებით საარტილერიო ბრძოლა ხდებოდა. მტერმა ძლიერად დაუშინა რეიმსს. შამპანში მტერმა იერიშები მოიტანა ჩვენ მიერ დაკავებულ მერომვილის მთის ქედზე. სასტიკი მტრას იერიში მამგოს გორაკის წინააღმდეგ მოტანილი მოვიგერიეთ ძლიერი ბრძოლის შემდეგ ტყვიის მფრქვეველების საშუალებით, ჩვენ მიერ კონტრ იერიშების მიტანის დროს, გერმანელები ძლიერ დაზარალდენ.

ხუთი დღის წინად მანკოს ჩრდილოდასავლეთით შემჩნეული გერმანელების ძლიერი რაზმი სროლით გავფანტეთ. გერმანელებმა დასტოვეს ბევრი დახოცილ ჯარისკაცთა გვამი. მეორედ იერიშების მოტანის ცდამ უნაყოფოდ ჩაიარა. დანარჩენ ადგილებში საყურადღებო არაფერი მომხდარა.

ჩვენმა მფრინავებმა ჩამოაგდეს გერმანელების სამი აეროპლანი.

**ლონდონი.** 10 აპრილი. ოფიციალი. [illegible]რკურის ტყის აღმოსავლეთით ჩვენმა ჯ[illegible]რმა წინ წაიწია და დაიკავა სოფ. ტრენო[illegible] სამხრეთი ნაწილი. ლოსროს სამხრეთ აღმ[illegible]ავლეთით გაცხოველებული ბრძოლა სწარმოებდა. ჩვენ წინ წავიწიეთ. ჩამოვაგდეთ გერმანელების აეროპლანები.

10 აპრილი. ოფიციალი. სროლა დაზვერვა გრძელდება. მე. აას მიდამოებში გერმანელები ესროდენ ჩვენს პოზიციებს.

კარპატებში ძლიერი ქარბუქია.

**პარიზი.** 9 აპრილი. ოფიციალი. სენკანტენის სამხრეთ რაიონში ღამის განმავლობაში გრძელდებოდა სასტიკი საარტილერიო ბრძოლა.

შამპანში ხდებოდა მჩვერავ რაზმთა შორის წვრილ-წვრილი შეტაკებები ხელით სასროლ ყუმბარების საშუალებით.

დიუნკერკენის მიდამოებში გერმანელმა მფრინავებმა ყუმბარები ჩამოყარეს. მსუ-

---

ყოფისა, ლათინებს მხარს უჭერდა და წინააღმდეგ ბერძენთა: ის ამბობდა დაურიდებლათ: „ჰრომთა ვინათგან ერთ გზის იცნეს ღმერთი, არაოდეს მიდრეკილარიან და არცაოდეს წვალება შემუსრულ არს მათ შორის, და ვითარცა იგი მაშინ თავმან მოციქულთამან პეტრე შეწირა უსისხლო იგი მსხვერპლი, და უმეტესღა, ვითარცა იგი თავადმან უფალმან მისცა მოწაფეთა ღამესა სერობისასა, ეგრეთ აღასრულებენ და არა რა არს მას შინა განყოფილება, ოდეს სარწმუნოება მართლ იყოს".7) ქართველების სარწმუნოებაზე იგივე მთაწმინდელი ამბობს: „რაჟამს ერთ გზის გვიცნობიეს, არ აღარა მიდრეკილ ვართ მარცხულ გინა მარჯულ და არცა მივდრკებით, თუ ღმერთსა უნდესო" (იქვე) აქედან აშკარათ მოჩანს ქართველები ბერძნებთან ერთათ არ გაჰყრიან რომის ტახტსა. ევროპელი მატიანენი კათოლიკებათ სთვლიან ქართველებს 1220 წელსაც კი; პაპების წერილებიდან მოჩანს, რომ საქართველო შეერთებული იყო რომის ტახტთან 1234 წ-დე ე. ი. 180 წლის შემდგომ რაც ბერძნები გაჰყროდენ რომს. მაშ 1234 წლამდე მთელი8) საქართველო კათოლიკე ყოფილა. 1234 წლამდე მთელ საქართველოში მეფობდა ქართული ტიპიკონი.

ამის შემდგომ კი ვხედავთ-საქართველოც დაშორებია რომს: შუაში რა მიზეზი ყოფილა ეს ნათლათ არ მოჩანს. ეს კი დაბეჯითებით შეგვიძლია დავამტკიცოთ, რომ დოგმატიური განსხვავება არც ძველათ ყოფილა და არც ეხლა არის რომსა და საქართველოს შუა; ვინც წინააღმდეგის თქმას გაბედავს, იმან წმიდანების სიიდან უნდა ამოხოცოს წმ. გიორგი მთაწმიდელი, რომლის თქმითაც რომაელებს წვალება არა დროს შეპარვიათ. მაშ რამ გამოიწვია გაყოფა?-ჩვენის ფიქრით, საქართველოს განყოფაც ბერძნებს უნდა მიეწეროს: ისინი ათას ჰორს გამოიგონებდენ ლათინების წინააღმდეგ, ლიტონი ქართველებიც აყვებოდენ. ყოველ შემთხვევაში, ისტორიული დოკუმენტი გვიმტკიცებს, რომ 1240 წელს საქართველო გაყრილი იყო 9) კვლავ შეურყეველი ისტორივლივე საბუთი ცხად ჰყოფს ერთიანობას 1235 წლამდის. მაშ განყოფა მომხდარა 1234-1220 წლებში. სწორედ ამ დროსვე შემოდიან ლათინის მისიონერები და ლათინური ტიპიკონი მაშინ იკიდებს ფეხს ქართველებში ვინც მისიონერების ქადაგებას ყურს უგდებდა და კათოლიკობას ღებულობდა, უმეტეს ად ლათინურ ტიპიკონში ეწერებოდა. რატომ ქართულ ტიპიკონშივე არ რჩებოდნენ ისინი? ამას მრავალი მიზეზი ჰქონდა. რუსუდან დედოფლის და მისი ძმის მეფობაც საქართველოს დამამხობელი იყო, როგორც პოლიტიკურათ ეგრეთვე სარწმუნოებრივათ; პოლიტიკურ სფეროში დაეკარგა საქართველოს თავისი გავლენა, ამასთანავე სარწმუნოებაც შეფერხდა, დაეცა ზნეობით ხალხი, სარწმუნოებას და ამასთანავე ქართულ ტიპიკონსაც ჩამოეცალა თავისი პატივისცემა, ისე რომ ვინც კათოლიკობას ღებულობდა, სიხარულით ეთხოვებოდა ეროვნულ ტიპიკონს. იმავეს ვხედავთ ჩვენს დროში: მრავალი სომეხი და სხვებიც ღებულობდენ ჩვენს სარწმუნოებას იმ თუოებით, რომ ლათინურ ტიპიკონში ჩაეწერონ, რადგან თავიანთი ეროვნული ტიპიკონი დამცირებულია სხვა მიზეზების გამო. აქ არ შეგვიძლია ისტორიულ ჭეშმარიტებას მხარი აუქციოთ და არ მოვიხსენოთ კვლავ სხვა მიზეზი: ზოგიერთი მისიონერიც ცდილობდა მათის გალათინებას რა მიზეზისთვის? ესენი რომ ქართულ ტიპიკონზევე დარჩენნსა ფიქრობდნენ, მისიონერები, შემთხვევაში მოიტანს თუ არა, ხელ მეორეთ შეუერთდებიან თავიანთ მოძმეებსო. ეს შიში ბევრს ეხლაც საფუძვლიანათ მოეჩვენება, მაგრამ სულ უსაფუძვლო, უნიადაგოა: ქართველებს განურჩევლათ სარწმუნოებისა დასაწყისიდანვე ჰყვარებიათ თავი მოციქულათ: წმ. პეტრე და მისი მოსაყდრე რომის პაპი; რაც შეეხება კერძოთ ქართველ კათოლიკებს, ისინი თავიანთ თავს თანამოძმეებზე უფრო მაღლა აყენებენ იმათ თავი მოაქვთ კათოლიკობის გამო, ისე რომ არაფრის გულისათვის არ გამოეყოფიან კათოლიკობას.

4-.სომხური ტიპიკონი ქართველ კათოლიკებში. მე 15-საუკუნემდე, მისვლამოსვლა ევროპასა და აზიას შუაა ძალიან გახშირებული იყო; მაგრამ თათრებმა ხელში რომ ჩაიგდეს კონსტანტინეპოლი, ორივე ქვეყნის კლტე. და ტრაპიზონის იმპერიასაც რომ ბოლო მოუღეს, მაშინ შეწყდა ყოველნაირი დამოუკიდებულება ევროპისა და აზიას შუა. მისიონერებმა ველარ გაბედეს წამოსვლა, 1500 წლიდან 1613 წლამდე არც ერთი ახალი მისიონერი არ გვხდება; მეთექვსმეტე საუკუნის ნახევრამდე აქა იქ კიდევ კანტიკუნეტათ გვხდებიან ლათინის პატრები: „ესენი არიან ნაშთნი იმ ლვდელთაგან, რომელთაც სარწმუნოების მადლით აღჭურვილთ, გარდაიარეს მთანი და ზღვანიო" 10) საინტერესო აქ ის არის, რომ მოგზაური თომა მინადსი მესხელ კათოლიკებზე ლაპარაკობს: მაშ მე-XVI საუკუნის პირველ ნახევარში ჯერ კიდევ სომხური წესი გავრცელებული არ ყოფილა; მალე კი უნდა გავრცელებულიყო რადგან უკანასკნელი პატრები უკვდავი ხომ არ იქნებოდენ სწორეთ ამ დროს ვხედავთ პირველათ სომხის უნიატ ღვდლებს: მისიონერ პატრებსავით ესენიც წმ. დომინიკეს მოწესეებათ ირიცხებოდენ; **მათი ტიპიკონი წმინდა სომხური როდი იყო, არამედ მარტივი თარგმანი ლათინურ ტიპიკონისა.** საფიქრებელია, თვითონ უკანასკნელი პატრებივე მოიწვევდენ ამ სომხის დომინიკანდებს, რათა შეშველოდენ ერის პატრონობაში; ხალხი ძლიერ ადვილათ შეეწყობოდა ამ გარემოებას, ვინაიდგან არავითარ ცვლილებას ხედავდა ეკლესიის ცერემონიებში; განსხვავება მხოლოდ ამ ერთში იყო: ლათინურის მაგიერათ სომხური ენა იხმარებოდა, ქართველთათვის ერთიც უცხო იყო და მეორეც... ხალხი კიდევ ძველებურათ ქართულათ ლოცულობდა, წმინდა წირვა კი კვლავინდებურათ უცხო ენაზე სრულდებოდა. ამის გარდა, სომხურ ტიპიკონს ერთი უპირატესობა ჰქონდა მაშინდელ ქართველ კათოლიკესთვის, სახელდობრ ის, რომ მის საფარველის ქვეშ შეეძლო ქრისტიანობის შენარჩუნება, რაც ერთობ ძნელი იყო სხვა ტიპიკონის მიმდევართათვის, მეტადრე ლათინურისა: სტამბოლის აღების შემდგომ, ოსმალებს საფრთხე უფრო ევროპელ ლათინებისგან მოელოდათ. ამიტომ მისიონერებს სასტიკად ადევნებდენ თვალ-ყურს, რომ ფეხი არ შემოედგათ აზიაში.11) სომხებს კი „უკვე ნაშოვნი ჰქონდათ სულთანისაგან სარწმუნოების ერთნაირი თავისუფლება" ირწმუნება დუბკა[12]). ამ ორი მიზეზის წყალობით ქართველ კათოლიკეებს ხელ გაშლით უნდა მიეღოთ სომხის უნიატი ღვდლები ისტორიული წყაროები გვიჩვენებენ, რომ თბილისში მონასტერიც ჰქონდათ 1545 წ., და რომ ქართველებში დიდათ მიღებული ყოფილან[13]). შემდგომ წლებში ამათი კვალი აღარ მოჩანს; ნუ დაგვავიწყდება, ქართველ-კახეთის სპარსეთის გავლენას განიცდიდა და ამიტომაც თათრის ქვეშევრდომნი, უნიატი ღვდლები, მაგრათ ვერ მოიკიდებდენ აქ ფეხსა; მესხეთში პირიქით შესაფერ ნიადაგს წარმოადგენდა ამ ბერებისათვის, რადგანაც იქ ოსმალო ძლიერობდა, რომელმაც 1626 წელს კიდეც დაიპყრო მთელი მესხეთი. ამიტომაც არის რომ სომხის უნიატობამ უკანასკნელ საუკუნემდე მოაღწია. ადგილობრივი გადმოცემა ადასტურებს მის არსებობას 1830 წლამდე. ეს გადმოცემა რომ ნდობის ღირსია ამას შემდეგნი გარემოებანი ნათლათ გვიჩვენებენ:

1) მესხეთის ეკლესიებში ეხლაც მოიძებნება უნიატურ ტიპიკონის წიგნები. 2) მხოლოდ ამ რიგათ აიხსნება ის დაუჯერებელი ამბავი, რომელსაც მოგვითხრობს ზ. ჭიჭინაძე შაჰყულიანზე: რომელი ამბავი თვითონ მეც გამიგონია შაჰყულიანის მოსწავლეების პირიდგანვე, მაგ. განსვენებულ იაკობ გოკიელისგან,-თითქოს პირველათ შაჭყულიანი ლათინურ ტიპიკონზე ყოფილიყოს ნაკურთხი, და მერე მიეღოს სომხური. ზემოხსენებულს თუ გავითვალსწინებთ, ეს დაუჯერებელი ამბავი სადი ჭეშმარიტების სახეს მიიღებს. შაჰყულიანი ჯერ უნიატურ წესს მისდე-

---

7) 1074 წ. ხელნაწ. გ. 332

8) თამარიშვილი. ისტორია კათოლ. გ. 12.

9) პაპის წერილი აგულიანებს რუსუდან დედოფალს, —შემოგვიერთდითო (ისტორია თამარაშვილისა გ. 15-16)

10) ისტორია ომიანობისა თათრებსა და პერსიელებს შუა გ. თ. მინადოისა გ. ქ, ტორინო 1588.

11) მაგ. 1627 წელს ცნობილი მისიონერი პეტრე ავიტაბილე შეიპყრეს სტამბოლში და საფრანგეთის ელჩს ნება არ მისცეს გზის განგრძობის უკანვე გააბრუნეს იტალიაში. (თამარ ისტ. 99).

12). მგზავრობა I,299 პასუხათ სომხის მწერლებს გ. 205.

13) თამარ. ისტ. კათ. გ. 72.

ბუქად დაიჭრა 3 კაცი. ზარალი დიდი არაფერია.

**ლონდონი.** 8 აპრილი. ოფიციალი. გერმანელები ტყვილად შეეცადენ დაებრუნებიათ ჩვენ მიერ აღებული სოფ. გოლიე.

გუშინ საღამოთი შევხვდით მტერს და არტილერიის ცეცხლით უკუ ვაქციეთ. მტერმა უკან დახევის დროს ჩვენი პოზიციების წინ დასტოვა მრავალი დახოცილი ჯარისკაცი. მდინარე სკარპთან ჩვენ წინ წავიწიეთ.

ადგილობრივ ბრძოლების შემდეგ ჩვენს ჯარს წარმატება დაეტყო. გერმანელების რამოდენიმე კონტრიერიშები მოვიგერიეთ. ღამით იპრის სამხრეთით მტრის უმნიშვნელო რაზმმა მოახდინა ჩვენს სადარაჯოებზე თავდასხმა. ჩვენ დავკარგეთ რამდენიმე კაცი. ამინდი უკეთესდება.

გუშინ ჩვენმა მფრინავებმა საჰაერო ბრძოლის დროს ენერგიულად იმოქმედეს. ჩამოაგდეს გერმანელების ჰაეროპლანები. ჩვენ დაგველუპა ორი ჰაეროპლანი.

**იტალიის ასპარეზი.**

**რომი.** 10 აპრილი. ოფიციალი დუამინოს მიდამოებში ჩვენმა რაზმმა მოახდინა მტრის პოზიციებზე თავდასხმა. ხელთ ვიგდეთ მრავალი იარაღი და სამხედრო სურსათი.

**რუმინიის ასპარეზი.**

**პეტროგრადი.** 10 აპრილი. გრძელდება ჩვეულებრივი სროლა და მზვერავ რაზმთა მოქმედება. მთებში მძვინვარებს საშინელი ქარ-ბუქი. ხშირი წვიმების გამო მდინარეები ადიდდენ და ნაპირებიდან გადმოვიდენ.

**კავკასიის ასპარეზი.**

**პეტროგრადი** 10 აპრილი. სპარსეთში ქურთები აძლიერებენ ჩვენი ჯარისადმი სასტიკ მოპყრობას.

კაზირა-ბათის სამხრეთ-აღმოსავლეთით შერაბონთან არაბები, რომელნიც თხრილებს ამზადებდენ, ჩვენმა რაზმმა გაფანტა.

დანარჩენ ადგილებში ჩვეულებრივი სროლა, დაზვერვა მფრინავთა მოქმედება გრძელდება.

**უცხოეთი.**

**ლონდონი,** 8 აპრილი. ბალფური დღეს ჩამოვიდა.

**რ უ ს ე თ ი.**

**პეტროგრადი,** 8 აპრილი. კოტლიაარევსკი დანიშნეს სასულიერო საქმეთა კომისარად. სათათბიროს წევრი სალაზკინი ნიჟნი ნოვგოროდის იარმუკის კომისარად, საბჭოს წევრი გლებოვი რუს. იმპერატორის საკუთარი კანცელარიის კომისარად, ხოლო ოსტროუმოვი გათავისუფლებულია პეტროგრადის სასწავლო ოლქის მართვისაგან.

**თავისუფლების სესხი.**

**სარატოვი,** 10 აპრილი. ებრაელთა სინაგოგის კრებაზე თავისუფლების სესხს 800.000 მანეთს მოაწერეს ხელი.

**ოდესა,** 10 აპრილი. ჩამოვიდენ სამხედრო მინისტრი გუჩკოვი და შავი ზღვის ფლოტის უფროსი ამირბარის ამხანაგი კოლჩაკი.

**მუსულმანთა კრება.**

**პეტროგრადი.** 1 მაისიდან 8 მაისამდე რუსეთის მუსულმანთა დროებითი მთავარი ბიურო იწვევს მოსკოვში მთელი რუსეთის მუსულმანთა ყრილობას.

## ჟურნალ-გაზეთებიდან

— **ზავის გარშემო.** გერმანიის სოც. დემოკრ. გაზეთი „ფორვერსტი" ეხება დანიის სოც. დემ. სტაუნინგას გამოსვლას, რომელსაც შესაძლოდ მიაჩნია საერთაშორისო დემოკრატიის თანხმობით საზავო მოლაპარაკების დაწყება. „ფორვერსტს" სტაუნინგას ამ ოპტიმისტობაში ეჭვი ეპარება და ამბობს ზავი მხოლოდ სეპარატიული შეიძლება ჩამოვარდესო.

— სტოკჰოლმიდან რუსეთში მომავალ რევოლიუციონერებს უთქვამთ, რომ ისინი ორი კვირის შემდეგ სამშვიდობო მოლაპარაკების დელეგაციასთან ერთად სტოკჰოლმს დაბრუნდებიან.

— ენვერ ფაშას სოფიელ ჟურნალისტისთვის უთქვამს: „ომი დაბოლოების მიწურულშია, მაგრამ ნურავის დაავიწყდება, რომ ჯერ ოსმალეთს თავისი მისია არ შეუსრულებია. შორეულ მიზნებს რომ თავი დავანებოთ, დაკარგულ მიწა წყლის დაბრუნება მაინც აუცილებელია ჩვენთვისო. ენვერ ფაშას ისიც უთქვამს, რომ ოსმალეთი უკანასკნელ დღეებამდე გერმანიასთან ერთად ივლის და არც ერთ შემთხვევაში არ დასთანხმდება სეპარატიულ ზავს.

— „ფორვერსტი" აღნიშნავს, რომ ცენტრალური სახელმწიფონი ყოველგვარად მზად არიან საზავო მოლაპარაკების დასაწყებად და ამ მიზნის მისაღწევად გერმანიამ კიდეც მიმართა შვეციის მთავრობას და შუამავლის როლის კისრება სთხოვაო.

— „რუსკ. სლოვო" სწერს: „საზღვარგარეთიდან მოსული ცნობები გვეუბნებიან, რომ გერმანია თანახმაა დაიწყოს რუსეთთან სამშვიდობო მოლაპარაკებაო.

— „ბირჟ. ვედ." გადმოცემით ავსტრიაში, ბულგარეთში და ოსმალეთში ძლიერდება ზავის ჩამოგდების მომხრეთა ოპოზიცია.

— **იმედი არ მართლდება.** პარიზელი კორესპონდენტი „რუს. სლოვო"-ს ატყობინებს, რომ თანახმად გერმანიიდან მოსულ სარწმუნო ცნობებისა, გერმანიაში მომხდარ მღელვარებას (ლეიპციგსა და ბერლინში) არაფერი საერთო არ აქვს რუსეთის რევოლიუციასთან, და იგი მხოლოდ სანოვაგის ნაკლებობის გამო გამოწვეული „ბუნტიაო".

— **ომის ამბები.** დასავლეთის ასპარეზზე მდინარე სომმისა და ანკრის მიმართულებებით ფრანგ-ინგლისელთა ლაშქარი ისევ შეტევას განაგრძობს. ამ ასპარეზებით გერმანელები კარგა ხანია მოგერიებით ომს აწარმოებენ, მაგრამ ამ მოგერიების ტაქტიკის დროსაც იგინი უცბად გადადიან შეტევაზე, დიდ ბრძოლას გამართავენ, მხოლოდ წინ წაწევას კი არ ცდილობენ. ფრანგული „ტანი" ამ მოვლენას იმით ხსნის, რომ ვილჰელმის მთავარსარდლობას განზრახული აქვს, რაც შეიძლება მეტი ცოცხალი ძალა მოუსპოს მოწინააღმდეგეს.

— ხმებია ფელდმარშალ მაკენზენს ენვერ ფაშისთვის წერილი მიუწერია, რომელშიც იგი თხოულობდა, რომ ოსმალთა ჯარის მთავარსარდლობას მხოლოდ იმ შემთხვევაში ვიკისრებ, თუ ახალ ჯარებს მომაშველებთო.

— რუსულ პრესაში კვლავ ბევრს ლაპარაკობენ პეტროგრადის საფრთხეზე. დაბეჯითებით ამბობენ, რომ გერმანელთა ბალტიის ფლოტი აქტივობას შესდგომია და იგი ფინეთის და რიგის ყურეების ყუმბარების დასაშენად არის გამზადებულიო.

## ეროვნული კითხვა.

**უკრაინელები.**

უკრაინელთა კონგრესზე, რომელიც კიევში სწარმოებს, ერთხმად გამოიტანეს რეზოლიუცია, რომ მხოლოდ ეროვნულ ტერიტორიული ავტონომია უზრუნველ ჰყოფს უკრაინის ხალხის და უკრაინაში მცხოვრებლებს სხვა ეროვნებათა მომავალ კეთილდღეობას. ყრილობა მოითხოვს დემოკრატიულ-ფედერატიულ რესპუბლიკის შექმნას. უმაღლეს მთავარ სარდალ ალექსეევის და სამხედრო მინისტრს გუჩკოვს ნება დაურთავს, რომ უკრაინელებმა შეადგინონ ეროვნული დივიზია. კიევში დარწმუნებულნი არიან, რომ ამ ახლო მომავალში დროებითი მთავრობა უკრაინას ეროვნულ კორპუსის შედგენის ნებასაც მიანიჭებს.

* * *

კონგრესზე სადოვსკიმ მოხსენება წარადგინა, სადაც იგი არკვევს, თუ როგორი უნდა იქმნეს უკრაინის ტერიტორიული ავტონომიის საზღვრები საზღვრებად მიღებულია დასავლეთით ლიუბლინისა და გროდნოს გუბერნიები, ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით მდ. ყუბანი, სამხრეთით მდ. პრიპიატი, ჩრდილოეთით აზოვის და შავი ზღვები უყირიმოდ. ტერიტორიულ ავტონომიაში სულ რვა გუბერნია შედის. კიევისა, პოლტავისა, პოდოლისა, ვოლინისა, ხარკოვისა და ეკატერინოსლავისა.

## რ უ ს ე თ ი.

— **„შავი კაბინეტი"** მოსკოვში აღმოაჩინეს „შავი კაბნეტი" რომელიც სხვა და სხვა ბნელ საქმეებს აწყობდა. შეპყრობილი არიან წევრები: იაკობჩიკევი, ფრეიგერი და ზაუიე.

— საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგი პოლოვცევი თანამდებობიდან გადადგა.

— ახალმა მთავრობამ ნება დართო პლევეს მკვლელ საზონოვის ჩონჩხი უფაში გადაასვენონ.

— პურიშკევიჩმა მოისურვა მეხუთე არმიის ყრილობას დასწრებოდა, მაგრამ ჯარის კაცთა დეპუტატების საბჭომ ნება არ მისცა.

— შჩეგლოვიტოვს გაჩხრეკის დროს აღმოაჩნდა დოკუმენტები, რომელიც ამჟღავნებს აზეფის პოლიციის დეპარტამენტში მოღვაწეობას.

— **პროვოკატორთა** სია. გამოქვეყნებულია კიევის პროვოკატორთა სია. მათშორის ბაგროვი, სტოლიპინის მკვლელი, ურეეია. არის აგრეთვე ერთი საყურადღებო საბუთი. ვინმე „კლიჩკა" ივანეს 1907 წ. ჟანდარმერიისთვის დაბეზღების ქაღალდი წარუდგენია, სადაც სწერია: ს. რ. ქალი მერეჟკოვსკისა ყირიმს მიდის ნიკოლოზ მეორის მოსაკლავათო. მერეჟკოვსკის ქალი შეიპყრეს იმ წამსვე და იგი ერთ ერთ რუსეთის საპატიმროში გარდაიცვალა.

— **ექს იმპერატორის საიდუმლოებანი.** როდესაც ყოფილი იმპერატორს ნიკოლოზს დიდმა მთავრებმა მოახსენეს, რომ მისი სახელი გარყვნილების ბუდეთ გადიქცა, შეილახა პატიოსნება დედოფალი მეფეს ღალატობს და ვიღაც რასპუტინის საჯიჯვნი გამხდარაო, მეფემ უთხრა: „ახლა მაგის დრო არ არის, უმჯობესია ამ საგანზე ხმა არავინ ამოიღოსო" დედოფალი მე მღალატობს, ეს პირადათ ჩემი საქმეა და მე მაგრეთვე ღალატით გავუსწორდები მასაო. ამბობენ ნიკოლოზ რომანოვს ძლიერ დაახლოებული ჰყავდა პეტროგრადის ახალ გაზდა ფრეილინებიო.

## უკანასკნელი ამბები.

**ჯამაგირი ჯარის კაცებს.**

პეტროგრადში ჯარის კაცთა დეპუტატების საბჭოს სხდომამ დაადგინა, ჯარის კაცთ დაენიშნოს ჯამაგირი: „რიადავოებს" თვეში 5 მან., ეფრეიტორებს 6 მან., უმცროს უნტერ-ოფიცრებს 8 მან.. უფროს უნტერ-ოფიცრებს 11 მან., ფელდფებელებს 14 მან. ამათგანი ვინც ბრძოლის ველზე იქნება, მათ ჯამაგი ორი მ. მეტი ეძლევათ.

— პეტროგრადში შესდგა ნოტარიუსთა თათბირი, რომლის მიზანიც არის ნოტარიატების სრული რეორგანიზაცია და მათი დემოკრატიულ საფუძვლებზე მოწყობა.

— 11 აპრილს რუსეთში დაიწყო სრულიად რუსეთის ფლოტისა და ჯარის ექიმთა ყრილობა.

— გაზ. „რუს. ვოლია" მოითხოვს რუსეთის რეაქციონურ პირთა გაძევებას.

— სამხედრო მინისტრის ადიუტანტი სმოლნიკოვი იტყობინება, რომ დასავლეთის რკინის გზებზე ჯარის კაცთა არაჩვეულებრივი მოძრაობაა. მატარებლები ფრონტიდან მომავალ ჯარის კაცებით არის ავსილი. დანარჩენ ხალხის მგზავრობა საფრთხეშია ჩავარდნილი. ჯარის კაცთ იარაღიც თან აქვთ და მგზავრებს შეშინებით ვაგონებიდან აგდებენ. ადიუტანტი მოითხოვს ზომების მიღებას.

**წერილი რედაქციის მიმართ**

ბ-ნო რედაქტორო!

ნება მიბოძეთ თქვენი გაზეთის საშუალებით ულრმესი მადლობა გამოუცხადო იმ პირთ, რომელთაც კეთილ ინებეს და ჩემს მიერ რწმუნებულ სადემეტრიოს ღვთის მშობლის ეკლესიას შემოსწირეს ფული ამავე ეკლესიის განამშვენიერებლათ:

1) კალისტინა ექვთიმე ქარჩხაძის ასულმა 24 მანეთი.

2) ... 

3) ... მა 5 მანეთი 60 კაპ.

4) ვასილ ივანეს ძე მარგველაშვილმა 1 მან. 20 კაპ. სულ 37 მან. 80 კაპ.

მღ. **ნიკოლოზ ჭირაქაძე.**

ვდა, მერე კი, როდესაც აზრუმელი სომხები ჩამოთესლდენ, ამათი წმინდა სომხურ ტიპიკონი მიიღო.

3). მესხებს წმ. სომხური ტიპიკონი რომ ჰქონდათ, მაშინ ახლო მყოფ სომხის ეპისკოპოზს უნდა დამორჩილებოდენ მაგრამ, როგორც ისტორია გვიჩვენებს ჯერ ისპაანის ეპისკოპოზს ემორჩილებოდენ (1633-1742), ბოლოს სარატოვისას. და მხოლოდ ამ უკანასკნელმა გადასცა იგინი (1909) სომხის ადმინისტრატორსა ყველასგან ცნობილს ტერაბრამიანს მესხებს კვლავ უნიატური ტიპიკონის რომ ჰქონდათ, საეკლესიო კანონების ძალით ლათინის ეპისკოპოზს უნდა დამორჩილებოდნენ, უკეთუ, რასაკვირველია, თავიანთი უნიატი ეპისკოპოზი არ ეყოლებოდათ. მაგრამ შეხედეთ მრავალ წყობით შემზადებულ ვერაგობას. ჯერ რომის დაუკითხავათ და მისი სურვილის წინააღმდეგ უნიატები წმინდათ გაასომხეს და, როდესაც გავიდა დრო, როდესაც მივიწყებას მიეცა პირველი უნიატობა, მაშინ თავიანთი უფროსობაც თავზე წამოახვიეს... მაგრამ, მიუდგომელი ისტორია ყველაფერს გამოააშკარავებს... რით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ სომხური ტიპიკონი მარტო მესხეთში დარჩა, ქართლ-იმერეთში კი ფეხი ვერ მოიკიდა? ამ უკანასკნელ ქვეყნებს მეჩვიდმეტე საუკუნიდგანვე მისიონერი პატრები ხელ მეორედ მოევლინენ, აღსანიშნავია, რომ პირველი მისიონერი თეატინელები სპარსეთის გზიდან შემოვიდენ თათრების შიშის გამო და რადას გაბედავდენ მესხეთში სამისიონეროდ შესვლას. თვითონ მესხებსაც ეშინოდათ; მეთვრამეტე საუკუნეში კაპუცინები რომ გაუდგნენ ახალციხის გზას, ახალციხელებმა დეპუტაცია დაახვედრეს აწყვერში:

მოხვალთ, და აწიოკების მიზეზი გაგვიხდებითო!.., ბოლოს, როგორც იყო, მონასტერი გახსნეს 1733 წელს, აღსანიშნავია რომ დიდ დაბრკოლებას შეხვდენ არა მარტო ოსმალებისა და სომეხ გრიგორიანობის მხრივ, არამედ თვითონ სომხის კათოლიკე ღვდლებიც აქეზებდენ ოსმალებს: ხელი შეუშალეთ ეკლესიის აშენებაში, მაშ სიბრძნეს მოკლებული იქნებოდა, რომ ამისთანა შემთხვევებში ცდილიყვნენ მრევლი გადმოეყვანათ ლათინის ტიპიკონზე რაც შეეხება მრევლსა, იგი მისდევდა უნიატურ სომხის ტიპიკონს, ცერემონიები ერთი და იგივე იყო ლათინურზე გადმოსვლით არაფერი შეემატებოდა პირიქით საფრთხე გაუდიდდებს და რადგან ოსმალები უფრო ლათინის ტიპიკონის მიმდევრებს მტრობდენ. აქნობამდე რომ შეენარჩუნებინათ უნიატური ტიპიკონი, ჩვენ აღარ გავხდებოდით მწუხარე მოწმეები იმისა, რაც მოხდა და ხდება ეხლაც მესხელ კათოლიკეთა შორის. საუბედუროთ სომეხ ნაციონალისტების მეოხებით წმინდა სომხური ტიპიკონი მიაღებინეს 1830 წლებში ამიერიდგან დაიწყო გასომხების პოლიტიკა, რამაც ჩვენთვის დამღუპველი ნაყოფი გამოიღო: გასომხდა მთლად ართვინის ქართველ კათოლიკობა, და ამ ჟამად გაცხარებული მუშაობა ჯავახელების გასასომხებლად... აი რამ გამოიწვია სამართლიანი შფოთი ახალციხელებისა; მაგრამ როგორც ეტყობა, ტერაბრამიანს იმათი სულიერი გაჭირვება 14) აინუშიც არ მოსდის; ჭეშმარიტი მწყემსი აქამდის ბარე ათჯერ გადადგებოდა, თუ კი ამ საშვალებით მშვიდობას აღადგენდა... ქირით დადგენილ მწყემსზე კი რა მოგახსენოთ, იგი ხომ ცასა და ქვეყანას შესძრავს ოღონდ კიდევ შეინარჩუნოს ცხვრების მატყლი და რძე!..

**მხედარი.**

(შემდეგი იქნება)

რედაქტორ გამომცემელი

**დ. ბ. კვირკელია.**

## რკინისგზისმიმოსვლა.

(დრო ადგილობრივია ნაჩვენები).

ქ. ქუთაისს მოდის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისიდან | — დილის — | 8 ს. | წ. |
| „ | — საღამ. — | 8 ს. 50 | „ |
| ბათომიდან | — დილით — | 12 ს. 40 | „ |
| „ | — ღამის — | 1 ს. | „ |
| ფოთიდან | — დილის — | 10 ს. 26 | „ |
| ტყიბულიდან | — საღამოს — | 6 ს. 50 | „ |
| ხაშურიდან | — დილის — | 9 ს. 24 | „ |

ქ. ქუთაისიდან გადის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისისაკენ | — დილის | 11 ს. — | „ |
| „ | — ღამის | —11 ს. 34 | „ |
| ბათომისაკენ | — საღამოს — | 7 ს. 5 | „ |
| „ | — დილის — | 7 ს. | „ |
| ფოთისაკენ | — დილით — | 4 ს. | „ |
| ტყიბულისაკენ | — დილის — | 8 ს. 40 | „ |
| ხაშურიდან | — დილით — | 5 ს. 20 | „ |

**დამეკარგა** შავი ძაღლი მარადი ტანის. ყურები და კუდი მეჭრილი აქვს. მაძებარი პოლიციის ნაყოფია. საყელოზე პოლიციის ნიშანი აქვს მიბმული და რუსულს არის მიჩვეული. სახელწოდება: „დედუნა". მპოვნელს უმორჩილესად ვთხოვ მოიყვანოს ამ მისამართით: ქუთაისი, გაბრიელის ქუჩა № 2 ასლან ჯოხაძეს. გასამრჯელო შესაფერი მიეცემა. 3—1

**ქირავდება**

ორ სართულიანი სახლი დიდი ეზოთი, სასწავლებლისთვის ან სხვა რაიმე დაწესებულებისათვის. იურჩენკოს ქუჩა. წოწონავა 4—2.

ს. ბუგეულს რაჭის მაზრაშიდ პირველ აპრილიდან

**განახლდა**

ძმ. წულუკიძეების **გოგირდის აბანოს** მუშაობა. აბანოსთან არის, ცხრა მოწყობილი ოთახი ავათმყოფებისათვის და სუფთა საბანაო თეთრი ქვის ვანები. იქვე იშოვება ყოველგვარი სანოვაგე მიმსვლელ ავათმყოფებისთვის. გამგე **ივანე სოხაძე.**

**ექიმები:**

**გ. ი. გოკიელი** ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი, ნერვებისა და ვენერიულ ავათმყოფთათვის. ავათმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და საღ. 6—8 საათ. ალექსანდრეს ქ. საკუთარი ს. 7 თ.

**ი. ჩარექოვი** ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი. იღებს კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავათმყოფებს.

(სისხლში შესხმა „606" და „914") დილით $12^1/_2$—2 საათ. საღამოს 6—8 ს. მისამართი. ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახ. ტელეფონი № 135. 4

**ა. მ. ასათიანი** ლებულობს ქალურ, ვენერიულ და შინაგან სნეულებით ავათმყოფებს ყოველდღე დილის 11—2 საათამდე, საღამოს 6—8 საათამდე პუშკინისა და ბალახვანის ქ. კუთხე სახლი № 3 ტელეფონი № 101.

**ა. დ. მაჭავარიანი** (ყოფილი უფროსი ექიმი სმეცკის გულსუსტებიანთა სანატორიისა) იღებს შინაგან და ვენერიულ ავათმყოფებს დილის 8—1 და საღამოს 6—8 საათამდე. დადიანის ქ. სახლი ჩაჩანიძის (წულეისკირისეული

**ავი სენი**

ყოველ მის სტადიაზე წარმატებით რჩება გაუმჯობესებულ ფრანგულ ექ. **დე ვეზის პრეპარატის** საშუალებით. სიფილისის მოსარჩენათ ხმარებულ საშუალების უმნიშვნელო მოქმედებას იმ დასკვნამდი მიყავს ავათმყოფნი, რომ წამლობას თავს ანებებენ და ამით თავის თავს მწვავე შედეგების საფრთხეში აგდებენ. სიფილისის ბაცილები, მძლავრდებიან, რა ავამყოფის სხეულში, შხამავენ მთელს ორგანიზმს საშიშარი შხამით, რომელიც იწვევს პროგრესიულ სიდამბლეს, სხეულის სრულიად დაშლას. მხოლოდ რადიკალური და ენერგიული წამლობა სიფილისის წინააღმდეგ ათავისუფლებს ავათმყოფს სიკვდილისაგან. **პრეპარატი ექ. დე ვეზისა** ცნობილია ექიმებისაგან შეუდარებელ საშუალებათ სიფილისის წინააღმდეგ შინაურულათ წამლობის დროს. **პრეპარატი ექ. დე ვეზისა** სრულებით სპობს სიფილისის ბაცილებს და სწმენდს შხამისაგან სხეულის ყველა ნაწილს. **პრეპარატი ექ. დე ვეზისა** სპობს მუწუკებს, ჩირქის დენას, გუბს და შხამს, რომელიც სიფილისისაგან არის გამოწვეული, სპობს თავის ტკივილს, ფეხების ავათმყოფობას, ზურგისას, უძილობას, მეხსიერების, მხედველობისა და სმენის სისუსტეს. **პრეპარატი ექ. დე ვეზისა** დიად სამსახურს უწევს ავათმყოფს და აშორებს მას ხირხიმლისა და მთელი ორგანიზმის პროგრესიულ სიდამბლეს. სიფარშივის თავიდან ასაცილებლათ **პრეპარატი ექ. დე ვეზისა** იყიდება ქ. ქუთაისში მხოლოდ პრაქტიკულ მედიცინის ლაბორატორიის" განყოფილებაში **ა. ნ. შავერზაშვილის** სააფთიაქო მაღაზიაში, გიმნაზიის ქუჩა, თეატრის პირდაპირ. ფასი ერთი კოლოფისა 6 მანეთი, წამლობის მთელი კურსისათვის საჭიროა 3—5 კოლოფ. პოპულიარული ბროშურა იგზავნება უფასოთ.

სტამბა „ძმობა" პუშკინის ქ., სახლი გოკიელოვისა